პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕ-ЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 167 (2530) • სამშაბათი, 25 აგვისტო, 1964 წ. • ფასი 3 კაპ

ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება ფულადი და ნივთების ლოტერეული სპორტული ლატარიის ბილეთების რეალიზაცია

ლატარიის ბილეთების შეძენა შეიძლება „საქფიბნის“ მაღაზიებსა და „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში.

# კარგი ფინიში

მინსკი, 24 აგვისტო (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის 1964 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის XIV ტურში წარმატებით ითამაშეს გურგენიძემ და გაფრინდაშვილმა. ლაზიერის მიღებულ გამბიტში გურგენიძემ ხოდოსთან მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვა და ოსტატური თამაშით პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. კომბინაციურ სტილში თამაშობდა გაფრინდაშვილი ალმაატელ ნოსკოვთან. დებიუტის შემდეგ ნონამ იერიში მიიტანა მეტოქის მეფეზე, რომელიც ხარისხის ეფექტური შეწირვით დაგვირგვინდა. 25-ე სვლაზე ნოსკოვი დანებდა.

პეტერსონმა მოუგო კრუტიხინს, ბოიარინოვმა—მუხინს. ყაიმით დამთავრდა ბირბრაგერ-ზილბერისა და ზახარიან-ეტრუკის შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

XV ტურში კვლავ კარგად ითამაშეს გურგენიძემ და გაფრინდაშვილმა. კარო-კანის დაცვაში ბირბრაგერმა ვერ აირჩია კარგი გეგმა და გურგენიძის პოზიციურ „მარწუხებში“ მოყვა. თანმიმდევრული თამაშით ქართველმა მოჭადრაკემ გაზარდა უპირატესობა და გაიმარჯვა. გაფრინდაშვილის მეტოქე იყო საერთაშორისო ოსტატი მიკენასი, რომელსაც, სხვათა შორის, დაუმარცხებია ალიოხინი, ბოტვინიკი, ფლორი... უფიმცევის დაცვიდან ნონამ კარგი პოზიცია მიიღო, მაგრამ მიტელშპილში დააყოვნა ხელსაყრელი გაცვლები და მიკენასს გაათანაბრებინა თამაში. ამის შემდეგ მეტოქენი მალე დაზავდნენ.

კვლავ გაიმარჯვა პეტერსონმა. მან მოუგო ნოსკოვს. ბოიარინოვმა ძლია ზახარიანს, ვალიევმა—მუხინს. ყაიმზე შეთანხმდნენ ვოორეპაა — ხოდოსი.

XV ტურის შემდეგ ოსტატობის კანდიდატ ვ. ბოიარინოვს 11 ქულა აქვს, დიდოსტატ ა. სუეტინს 10 და 2 გადადებული პარტია, ოსტატ ა. პეტერსონს 10 და 1 გადადებული პარტია, ოსტატ ბ. გურგენიძეს 9 და 1 უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია. ნ. გაფრინდაშვილს 5,5 ქულა აქვს.

ვ. ზიზოვი,

სპორტის ოსტატი.

# ა. ლუტიკოვი — ლიდერი

კიშინიოვი, 24 აგვისტო (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალზე კიდევ სამი (XI-XII-XIII) ტური გათამაშდა. XIII ტურის შემდეგ ლიდერობს ტარასპოლელი ოსტატი ლუტიკოვი (10,5 ქულა). ლიდერს 2 ქულით ჩამორჩებიან საერთაშორისო ოსტატი ბაგიროვი (ბაქო), ოსტატი გოლდენოვი (მინსკი), ოსტატი ჩესნაუსკასი (ვილნიუსი) და ოსტატობის კანდიდატი კიკიანი (თბილისი).

ტურნირის დამთავრებას ითხი ტური აკლია. თ. კიკიანს სპორტის ოსტატის ნორმის შესრულებისთვის 1,5 ქულა სჭირდება. მას დარჩა შეხვედრები ბაქოელ ოსტატ ჰალილბეილისთან, რიგელ ოსტატ კლოვანთან, სომხეთის ჩემპიონ ოსტატობის კანდიდატ გრიგორიანთან და თბილისელ ბოკუჩავასთან.

# ძნელია გზა ტოკიოსაკენ!

*მოსკოვი, 24 აგვისტო. (ტელეფონით).* ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში იქნება 7-7 სპორტსმენი როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ცნობილი გახდა ისიც, რომ ტოკიოს საგზურები უკანასკნელი შესარჩევი ასპარეზობის გაუვლელად უკვე მოიპოვა ოთხმა სპორტსმენმა —ლ. ლატინინამ, ს. მურატოვამ, პ. ასტახოვამ და ბ. შახლინმა. ასე რომ, ვაკანსია ოლიმპიური ნაკრების პრეტენდენტთათვის კიდევ უფრო შეიწროვდა.

ქალთა შორის, შეჯიბრების ოფიციალური შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ვაკანსიები შეავსეს ე. ვოლჩეცკაიამ (77,865 ქულა), თ. მანინამ (77,831), ლ. გრომოვამ (77,564) და თ. ალექსეევამ (77,464). მაგრამ საქმეც ისაა, რომ დღეს, როცა ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ რჩება დრო, ყველაფერს მხოლოდ ოფიციალური შედეგები არ წყვეტს, არამედ, მათთან ერთად ნაკრების მწვრთნელთა დაკვირვებული თვალიც. მით უმეტეს, რომ მომდევნო ორ ადგილზე გამოსული სპორტსმენისაგან — ახალგაზრდა, ჰერსპექტიული ლ. ლაბუნეცისაგან და ორწლიანი ტრავმისაგან გამოკეთებული, დღითი დღე მრისხანე ძალად მზარდი თ. ზამოტაილოვასაგან — ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი. ასე რომ, როგორც აქ ვარაუდობენ, ნაკრების საბოლოო დაკომპლექტების საკითხი „ყველა პუნქტში“ როდია გარკვეული. მართლაც, რომ ძნელია გზა ტოკიოსაკენ!

გუშინ, შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, გაირკვა ვაჟთა „ბედიც“. პირველი ადგილი დაიკავა ვ. ლისიცკიმ — 116,80, მეორე —ვ. ლეონტიევმა—116,45, მესამე ი. ცაპენკომ — 116,05. ნაკრების დანარჩენი სამი „თავისუფალი“ ადგილი შეავსეს: ს. დიამიდოვმა — 115,75, ვ. კერდემელიდიმ — 115,30 და მ. ვორონინმა — 115,15. ი. ტიტოვი ტრავმირებულია.

## ◆ ◆ ◆

# ოლიმპიური კანდიდატები თავისუფალ ჭიდაობაში

ტოკიოს ოლიმპიური ტურნირისათვის წვრთნას გადიან თავისუფალი სტილის შემდეგი მოჭიდავეები: უმჩატესი წონა — ა. ალიევი (მახაჩ-ყალა), ლ. ბარსუკოვი (კიევი), ა. კვეორკოვი (ბაკო); მჩატე წონა — ა. იბრაკიმოვი (ბაკო), ე. თედეევი (ორჯონიკიძე), დ. მუშელიანი (ერევანი); ქვემსუბუქი წონა — შ. ტუგანოვი (კიევი), ნ. ხოხაშვილი (თბილისი), დ. ბაგაევი (ალმა-ატა); მსუბუქი. წონა — ზ. ბერიაშვილი (თბილისი), ი. გუსოვი (ორჯონიკიძე), ი. შახმურადოვი (მახაჩ-ყალა). ქვესაშუალო წონა — გ. საღარაძე (თბილისი), ნ. აკსიონოვი (მინსკი), ა. ცხოვრებოვი (თბილისი).

საშუალო წონაში ოლიმპიურ კანდიდატთა სია ასე გამოიყურება: შ. ლომიძე (თბილისი), ა. ალბული (ლენინგრადი), ყ. აგაევი (მახაჩ-ყალა); ქვემძიმეში — ა. მედვედი (მინსკი), ა. აიხანოვი (ალმა-ატა), კ. ლიივა (ტალინი); მძიმეში — ა. ივანიცკი (მოსკოვი), თ. ხითარიშვილი (ქუთაისი), ე. ნადეჟდინი (მოსკოვი).

TOKYO 1964

# მეორე წინაოლიმპიური ტურნირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში დაიწყო მეორე წინაოლიმპიური ტურნირი ფრენბურთელ ქალთა შორის. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა კავშირის, პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების, „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ნაკრები კოლექტივები. ფრენბურთელთა ასპარეზობამ საბოლოოდ უნდა მოგვცეს პასუხი, თუ ვინ არის ღირსი გაემგზავროს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

შედგა პირველი მატჩები. საბჭოთა კავშირის ნაკრები (ვინოგრადოვა, კამენეკი, როშჩინა, მიშაკი, რისკალი, რიჟოვა, ტიხონინა) შეხვდა „ბურევესტნიკს“ და გაიმარჯვა — 3:0 (15:5, 15:6, 15:6). პროფკავშირთა და „დინამოს“ ნაკრები კოლექტივების დაძაბული ბრძოლა დამთავრდა უკანასკნელთა გამარჯვებით — 3:2 (13:15, 15:2, 15:4, 2:15, 16:14).

# თიანეთელებთან—მთიან მხარეში

## გთხოვთ, მოგვაქციოთ ყურადღება!

საქართველოს სპორტულ მიღწევათა რუკაზე თიანეთის რაიონს მეტად მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ამ გარემოებას კი განაპირობებს ის, რომ ამ მთიან კუთხეში არა აქვთ არც ერთი დახურული დარბაზი, არაა შექმნილი ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლები. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ სამი ათეული წლის მანძილზე ზემდგომ ფიზკულტურულ ორგანოებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ თიანეთში ზამთრის ტიპის სპორტული ბაზების (თუნდაც ერთის) მშენებლობის მიზნით. და ეს იმ დროს, როცა რაიონის მკაცრი კლიმატური პირობების გამო აქ თითქმის 9 თვის მანძილზე ღია ცის ქვეშ (გარდა სათხილამურო სპორტისა) რაიმე სპორტული ღონისძიებისა თუ ვარჯიშის ჩატარება თითქმის შეუძლებელია. მართალი არიან აქაური ახალგაზრდები, როცა მოგვმართავენ:

„— გთხოვთ მოგვაქციოთ ყურადღება და მიიღოთ ზომები რაიონში ისეთი სპორტული ნაგებობის ასაშენებლად, სადაც შესაძლებელი იქნება სპორტის მრავალი სახეობის განვითარება მთელი წლის მანძილზე. ჩვენც გვინდა შევიტანოთ წვლილი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვაში. იმედია, ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებთ“...

თიანეთში არის საამისო ადგილი, ახალგაზრდობის მხურვალე სურვილიც, საჭიროა მხოლოდ ყურადღება და მონდომება. ახალგაზრდობა ძალას არ დაიშურებს, მოაწყობს შაბათობებს და საზოგადოებრივ საწყისზე უფრო იაფს გახდის მშენებლობას. და მართლაც, განა ყურადსაღები არაა თიანეთელი გედეშურების, მგელიაშვილების, ახალაურების, მოსასლიშვილების, ფაშურიშვილებისა და სხვათა გულისტკივილი?

ახლა კი ვიღაპარაკოთ იმაზე, რაც დარბაზის მშენებლობასთან არაა დაკავშირებული, რაც ადგილზე კეთდება და არ კეთდება. ამ მიზნით შევიხედოთ აქაურ ფიზკულტურელთა...

## მთავარ შტაბში...

...სადაც ხელმძღვანელი როლი აკისრიათ თიანეთის სპორტკავშირის თავმჯდომარეს ამხ. რ. მექვაბიშვილს და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. კ. რიგიშვილს. გადავხედოთ სპორტკავშირის ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას, რომელიც რაიონის 33 ფიზკულტურული კოლექტივის 2611 ფიზკულტურელის მომსახურების მიზნით შეუდგენიათ. ამ თითქმის სამათასიან არმიას ემსახურება ფიზკულტურული განათლების მქონე 17 კაცი (აქედან 6—უმაღლესი ცოდნით). წელს რაიონის პირველობა ჩატარდა მხოლოდ ქართულ ჭიდაობაში (მონაწილეობდა სულ 24 სპორტსმენი), მძლეოსნობაში მონაწილეთა შორის (2-ჯერ), ფეხბურთსა და ჭადრაკში (21 მონაწილე, ორ წრედ... 4 დღეში (?!). სპორტის დანარჩენ სახეობებში კი ჯერჯერობით ღონისძიება არ ჩაუტარებიათ. როგორც იტყვიან, კოშენტარი ზედმეტია. ეს ფაქტი ე. წ. მთავარი შტაბის „სიცოცხლისუნარიანობის“ საკმაოდ ნათელ სურათს გვიხატავს.

ანალოგიური მდგომარეობაა „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოშიც, რომელიც სულ 12 ფიზკულტურულ კოლექტივს ხელმძღვანელობს, თუმცა აქ კარგი საქმე წამოიწყო კ. რიგიშვილმა: მისი ინიციატივით გაიხსნა თითო ჯგუფი საზოგადოებრივ საწყისზე სამბოში, ფრენბურთში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში. მან თვითონ მიიღო მონაწილეობა თავისუფალ ჭიდაობაში რესპუბლიკის პირველობაზე და V ადგილი დაიკავა.

როგორც სპორტკავშირის, ისე „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს, არ გააჩნიათ ნამუშაო გეგმები, უკანასკნელ ხანს რატომღაც არ ტარდება მათი პრეზიდიუმის სხდომები (?!). როგორც ჩანს, ამ ორგანიზაციებმა ვერ შემოიკრიბეს აქტივი და თქმაც არ უნდა,—ცალუღელა ხარით ფონს იოლად ვერ გახვალ. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ „კოლმეურნეობათა გამგეობები კვლავაც „ჯიუტობენ“ და იურადიულ საწევროებს არ რიცხავენ „კოლმეურნის“ რაიხაბჭოს ანგარიშზე. და მაინც...

## რა არის მთავარი?

როგორც სპორტკავშირის, ისე „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოების მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ფეხბურთი. ჩვენ საერთოდ შევეჩვიეთ ამ აზრს, რომ ფეხბურთი ყველგან № 1 სპორტადაა მიჩნეული. ამის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ როცა იგი თვითმიზნად გადაიქცევა ხოლმე და მას ყველაფერს ანაცვლებენ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე სპორტის რომელი სახეობანი უნდა დაინერგოს და გავითვალისწინოთ უპირატესად?

ყოველ შემთხვევაში, გაუმართლებელია პრიორიტეტი მისცე თიანეთის „ირრის“ ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც საქართველოს პირველობის VIII ზონაში ბოლო ადგილზე მიჩანჩალებს. იმის მეათედი ყურადღება თიანეთში ჭიდაობას, სათხილამურო სპორტს, შვილდოსნობასა და ტურიზმს რომ ექცეოდეს, ეს რაიონი საქართველოს სპორტულ რუკაზე უთუოდ მკვეთრი ნათელი ფერებით გამოისახებოდა.

კიდევ ერთ პერსპექტივაზეც. აქ არის საწყლოსნო სპორტის—ნიჩბოსნობის, ცურვის, წყალში სტომის დანერგვა-განვითარების საუკეთესო პირობები—სიონის წყალსაცავი. სიონის ზღვა, რომელშიც ბარე ორი თბილისის ზღვა ჩაეტეოდა, უფრო ლამაზი მდებარეობისა და პერსპექტივის ზღვაა. იგი თითქმის რაიონს ცენტრს ებჯინება. მაგრამ რაიონს მხოლოდ საკუთარი ძალებით ძალიან გაუჭირდება ამ საწყლოსნო სარბიელის „სპორტული ათვისება“. ამავე დროს ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით იგი, ე. წ. „ადგილობრივს“ ძალიან შორს სცილდება.

ზემოთ ვილაპარაკეთ ჭიდაობის, ხახს ვუსვამთ—ქართული ჭიდაობის განვითარების აუცილებლობაზე. მაგრამ ძალზე გვეტკინა გული, როცა თიანეთში ეკაკუს სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მომიჯნავე სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე ვნახეთ...

## „თიანეთური კლოშმერლი“

საქმე იმაშია, რომ თიანეთელებმა, როცა პარკში მდებარე, მინგრეულ-მონგრეული საპირფარეშო დაიწუნეს, ეტყობა დიდ ხანს იმსჯელეს და 16.000 მანეთად ღირებული მეხერით შემოფარგლული საჭიდაო სარბიელი კოლექტიური სარგებლობის „კლოზეტად“ გადააქციეს (!). ამ „ბრძნული“ გადაწყვეტილების განხორციელებას იმან შეუწყო ხელი, რომ აქ ბოლო დროს არც ჭიდაობა იმართება და არც არავინ ვარჯიშობს.

ნუთუ ისეთი ძაბუნი მოჭიდავეები არიან თიანეთში, რომ თვიანთი სარბიელი ასე უბრძოლველად, უსარმოდ და უშუალოდ დაუთმეს ვიღაც უმგვანობს?

ახლა ვნახოთ რა შეუძლიათ შეიძინონ აქაური სპორტის მოყვარულთა რაიონული ცენტრის...

## უნივერსალურ მაღაზიაში

აქ საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სპორტული საქონლის სექციას, ვიტრინაში გაკრული აბრაც თითქოს იმას ამბობს, რომ უნივერსალურ მაღაზიაში სპორტული საქონელი თავსაყრელად აქვთ, მაგრამ...

უფრო კონკრეტულად რომ გავშიფროთ ფეხბურთის—რეპორტაჟების ეს უხიამო „მაგრამ“, ვიტყვით, რომ მაღაზიაში აქვთ რამდენიმე წყვილი მაისური, ტრუსი, ბუცი (მხოლოდ 39, 40 და 42 ნომრები), ფრენბურთისა და ფეხბურთის რამდენიმე ბადე, ბადროები, ფეხბურთის უნიკელო საბურველები (გაბერვის დროს კვერცხის ფორმისა რომ ხდებიან), ორიოდე სათხილამურო კოსტუმი, 2 წყვილი სარბენი და 11 წყვილი სლალომის (ამასთან უვარგისი) თხილამური. ეს არის და ეს—მაღაზიის მთელი აღლა-დიდება.

ვინ არის დამნაშავე? ყველა ერთად: მაღაზიაც, რაიონული სპორტკავშირიც, ყველაზე მეტად კი ეკონომიკურის ცენტრალური ბაზა, რომელიც მაღაზიას „ამარაგებს“.

ახლა კი...

## უსწორდით გიორგი სუარიშვილს

რაიონში სპორტული ბაზების საქმე, ასე თუ ისე, ყველაზე უკეთ საშუალო და რვაწლიან სკოლებშია მოგვარებული. ამათგან საუკეთესო (არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკის მასშტაბითაც)—ხოფელ ზარიძეების რვაწლიანი სკოლაა (დირექტორი ვ. წოკოლაური). წინასწარ უნდა შევსიშნოთ, რომ აქაც არა აქვთ დარბაზი. და მაინც რატომ მიგვაჩნია სამაგალითოდ? იმიტომ, რომ ზემოალნიშნული სარეკორდო სკოლის დირექციამ, უპირველეს ყოვლისა, ფიზაღზრდის მასწავლებელმა გ. სუარიშვილმა მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსის მოწყობით შეავსო. მარტივი ტიპის მოედნები აქ სიყვარულითა და საქმის ცოდნით მოაწყეს, ღია ცის ქვეშ დადგმულ სატანვარჯიშო იარაღებს სახურავიც კი გაუკეთეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ლაზათიანად არის გაკეთებული.

შაგრამ მარტო მოედნების მოწყობა როდი კმარა: გ. სუარიშვილს საქმე ისე დაუყენებია, რომ მისი მძლეოსანი-მოსწავლეები რაიონში მუდამ პირველ ადგილზე არიან. უფრო მეტიც, მისი აღზრდილი ნორჩი მძლეოსანი მერი ნადირაშვილი ახლა გლდანის სპორტული პროფილის მე-2 სკოლა-ინტერნატში განაგრძობს სწავლას. წელს ამ სკოლაში შესვლას აპირებს გ. სუარიშვილის კიდევ 4 აღზრდილი.

რაიონის ბევრ სკოლაშია მარტივი ტიპის სპორტული ბაზები. მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით გვინდა შევეხოთ სოფელ ნაქალაქარის საშუალო სკოლას (დირექტორი მ. არჩემაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. დიდუბაშვილი). ამ სასწავლებელს წელს არსებობის 50 წელი უსრულდება. როგორი სპორტული ბაზებით ხვდება ასეთ მნიშვნელოვან საუბილეო თარიღს სკოლა? ჩვეულებრივით, მარტივით. „ლელოს“ ფურცლებზე ამ სკოლასა და სოფელზე დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ აქ თითქოს სპორტული ბაზები სულაც არ გააჩნიათ. კორესპონდენციაში იყო უზუსტობა, რადგან სკოლას აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მოუგელი მოედნები, სოფელში კი... სოფელში არც ფეხბურთის, არც სხვა რაიმე მოედანია. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი: — უსწორდით გიორგი სუარიშვილს — სოფელ ზარიძეების სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს!

და კიდევ ერთი. თიანეთში შარშან შეყობრში ჩადგა სკოლა-ინტერნატის ახალი შენობა. იგი ტიპიურია, აქვს თავისი სპორტდარბაზიც, საბაფხულო მოედნებიც, ისევნტარიც... მოკლედ, აქ დიდი შესაძლებლობანი არსებობს ფიზკულტურული მუშაობის სათანადოდ გაწლისათვის. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და იმის პირიც უპანს, რომ რაიონში იგი მოწინავე სპორტულ სამეჭედლოდ გადაქცევა...

ახლახანს ლვოვში დამთავრებულ შეჯიბრებაზე ცურვაში, რომელშიც მოზარდთა სპორტული სკოლების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას (იგი, ამავე დროს, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის გათამაშების მეორე ეტაპს წარმოადგენდა), წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ნორჩმა სპორტსმენებმაც.

100 მ ზურგზე ცურვაში გოგონათა შორის თბილისელი ნ. ჭუმბაძე მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა — 1 წუთი, 15,7 წამი. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია როგორც გოგონებისათვის, ისე ქალებისათვის. ჭუმბაძემ კიდევ ერთი საპრიზო ადგილი (III) მოიპოვა 50 მ ზურგზე ცურვაშიც. იგი ზედა სურათზეა აღბეჭდილი.

ქვედა სურათზე კი თქვენ ხედავთ 400 მ კომპლექსურ ცურვაში ჭაბუკთა შორის II ადგილზე გამოსულ თბილისელ სპორტსმენს ა. იოანიშიდის. მისი შედეგი იყო 5 წუთი და 24,4 წამი. ეს შედეგიც საქართველოს ახალი რეკორდია.

ფოტო ი. იუნაევისა.

## „ნაპერწალი“ ფაქტიდან-ფაქტამდე

ჩვენი გაზეთის ს. წ. 22 ივლისის ნომერში დაბეჭდილი წერილი — „მაღაზეცილების რეკორდი მოხსნილია“ ეხებოდა გორის კულტურისა და დასვენების პარკისა და „ეკონომიკურობის“ დირექციის მიერ გორის ცენტრალური სტადიონის დანაწილება-დაქუცმაცების საკითხს.

როგორც გორის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე გ. მეფანიშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განხილა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. მიღებულია საჭირო ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თასი აფხაზეთში დარჩა

წყალქვეშა სპორტმა უკანასკნელ 3-4 წელიწადში დიდი პოპულარობა მოიპოვა რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა შორის. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე რამდენიმე პირველობა გაიმართა. ამ შეჯიბრებების უცვლელი გამარჯვებულები დყვნენ აფხაზეთის სპორტსმენები, ხოლო სოხუმელი ლ. კონოვალოვა სსრ კავშირის უკანასკნელისწინა პირველობაზე მეორე იყო.

ოთხი დღის განმავლობაში სოხუმის საცურაო აუზში და საზღვაო ყურეში მიმდინარეობდა დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის პირად-გუნდური პირველობა წყალქვეშა სპორტში. მაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება დაიწყო 500 მეტრზე ქალთა შორის ფარფლ-თათებით, სათვალეებითა და მილით ცურვაში. აქ გაიმარჯვა აფხაზეთის გუნდის წევრმა ვ. მახროვამ, რომელმაც დისტანცია 6 წუთსა და 41,8 წამში დაფარა. ვაჟთა შორის დისტანცია 1.000 მეტრს უდრიდა. აქაც გამარჯვებული აფხაზეთის წარმომადგენელი ი. ტიომნი გამოვიდა. მისი დროა 12 წუთი და 26,8 წამი.

მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება ყვინთვაში. 25 მეტრი ყველაზე სწრაფად (15 წამში) გაცურა აფხაზეთის წარმომადგენელმა ვ. მახროვამ. ვაჟთა შორის გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ე. კობეცკიმ. მისი დრო 40 მეტრზე უდრიდა 22,8 წამს.

საინტერესო იყო შეჯიბრება წყალქვეშ 3 პირობითი ზონის გადალახვაზე აქვალანგისა და კომპასის დახმარებით. შეჯიბრების ერთადერთმა მონაწილემ ი. ტიომნიმ გადალახა სამივე ზონა და ქულათა მაქსიმუმში დააგროვა — 1017. ამით მან დარჩენილი შეჯიბრებების მიუხედავად გაინაღდა პირველი ადგილი პირად ჩათვლაში. ქალთა შორის კვლავ ისახელა თავი ვ. მახროვამ, რომელმაც პირველი-მეორე ადგილები გაიყო აჭარელ მ. თარხნიშვილთან ერთად.

წყალქვეშა კარის გადალახვაში კურსის შეცვლით გაიმარჯვა ე. კეფეჯანმა (აჭარა). მან უნარიანად გაიარა ყველა დაბრკოლება და 1.000 ქულა დააგროვა. ქალთა შორის I-II ადგილები გაიყვეს ვ. მახროვამ და თბილისელმა ტ. ტკაჩენკომ.

უკანასკნელ დღეს გაიმართა გუნდური შეჯიბრებები წყალქვეშ ცურვაში. მხოლოდ აფხაზეთის გუნდმა შეძლო საჭირო ქულების მოგროვება, რამაც მას საერთო ჯამში პირველი ადგილი მოაპოვებინა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები, მესამეზე — აჭარის წარმომადგენლები. საქართველოს ჩემპიონები პირად ჩათვლაში გახდნენ ვ. მახროვა და ი. ტიომნი. თასი კვლავ აფხაზეთში დარჩა.



• • •

**სურათებზე:** საქართველოს ჩემპიონები წყალქვეშა სპორტში ვ. მახროვა (მარცხნივ) და ი. ტიომნი.

ფოტო და ტექსტი ვ. სემიონოვისა.

## მინდორზე — მოზარდი ფეხბურთელები

**„იმედის თასზე“**

გრძელდება საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული „იმედის თასის“ გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ახლა მთავრდება მატჩები ზონებში.

საუკეთესოდ თამაშობენ მეორე ზონაში საქართველოს ფეხბურთელები, რომლებმაც ერთიანი ანგარიშით — 3:2 დაამარცხეს აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები. ამავე ზონაში ორედ დამთავრდა ორი მატჩი: რსფსრ—სომხეთი 1:1, სომხეთი — აზერბაიჯანი 0:0. ჩვენი გუნდი ლიდერია.

**„სიჰაბუკის თასზე“**

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წელს დაიწყო კიდევ ერთი გათამაშება მოზარდ ფეხბურთელთათვის, რომლებიც „იმედის თასზე“ მონაწილე სპორტსმენებზე რამდენიმე წლით უმცროსნი არიან. შეჯიბრებას ეწოდა „სიჰაბუკის თასი“.

საქართველოს ფეხბურთელები აქ გამოდიან მესამე ზონაში. ჩვენმა გუნდმა ამ დღეებში დაამარცხა მოლდავეთის ნაკრები ანგარიშით 3:0.

# წერწილის დასმა ნაადრევია

**ᲓᲘᲛᲘᲜᲐᲠᲔ** სპორტული სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები, რომლის პროგრამის უაღრესად საინტერესო ნაწილს მძლეოსნობა წარმოადგენს. ამ სახეობაში ოქროს 36 მედალი უნდა გათამაშდეს. ჯერჯერობით ძნელია წინასწარმეტყველება — ვინ დაისაკუთრებს მათ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათის ერთგვარი უპირატესობა ექნებათ მსოფლიო რეკორდმენებს.

დღევანდელი მსოფლიო რეკორდების ცხრილში 7 საბჭოთა სპორტსმენის სახელს ვხვდებით. ისინი 8 რეკორდს ფლობენ: **ვაჟთა შორის** — ვ. კუცი 5.000 მ რბენაში—13.35,0 (დამყარებულია 1957 წლის 13 ოქტომბერს), ვ. ბრუმელი სიმაღლეზე ხტომაში — 228 სმ (1963 წლის 22 ივლისი), ი. ტერ-ოვანესიანი სიგრძეზე ხტომაში — 831 სმ (1962 წლის 10 ივნისი); **ქალთა შორის:** — ტ. შჩელკანოვა სიგრძეზე ხტომაში —662 სმ (1962 წლის 6 ოქტომბერი), თ. პრესი ბადროს ტყორცნაში — 59.29 მ (1963 წლის 19 მაისი), ე. ოზოლინა შუბის ტყორცნაში — 59,78 მ (1963 წლის 6 ივლისი), თ. პრესი ბირთვის კვრაში— 18,55 მ (1962 წლის 19 სექტემბერი) და ი. პრესი ხუთჭიდში — 5.137 ქულა (1961 წლის 8-9 ოქტომბერი).

როგორც ვხედავთ, მხოლოდ ერთი — ვ. კუცის რეკორდი — მიეკუთვნება ვეტერანთა რიცხვს. კუცმა დატოვა სარბენი ბილიკი და ის ფაქტი, რომ მისი მიღწევა ჯერ კიდევ „ბატონობს“, ლაპარაკობს ამ შედეგის ერთგვარ მიუწვდომლობაზე. საბჭოთა სპორტში კუცის სახელთან ბევრი რამაა დაკავშირებული, — არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება, სტაიერული დისტანციით მძლეოსანთა მეტი დაინტერესება და ა. შ.

კუცს გამოუჩნდნენ მემკვიდრეები (ვ. ბოლოტნიკოვი), შემდეგ კი მემკვიდრეთა გზის გამგრძელებლები. ისინი ახლა თითო-ოროლანი კი არ არიან ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელი ჯგუფები. განსაკუთრებული იმედის მომცემნი არიან ტ. ტიურინი და ლ. ივანოვი. არიან პერსპექტიული სტაიერები საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, აშშ-ში, პოლონეთში, გდრ-ში. სწორედ ავსტრალიელი ა. კლარკია, რომელმაც 10.000 მ რბენაში მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა ბოლოტნიკოვს.

იყო დრო (10 წლის უკან), როცა საბჭოთა მხტომელები დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მხოლოდ „სტატისტებად“ გვევლინებოდნენ, როცა სიმაღლეზე ხტომაში 2 მ და სიგრძეზე ხტომაში 7,50 მ მათთვის მიუწვდომელი ზღვარი იყო.

ამჟამად მსოფლიო რეკორდების ცხრილში ვხედავთ ციფრებს 228 სმ და 831 სმ! ისინი სწორედ საბჭოთა სპორტსმენებს— ვ. ბრუმელსა და ი. ტერ-ოვანესიანს ეკუთვნით, ადამიანებს, რომლებიც ტოკიოს ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად მიაჩნიათ.

მართალია, ბრუმელი და ტერ-ოვანესიანი ერთ ხანს საგრძნობლად დაშორდნენ კონკურენტებს ჩვენს ქვეყანაში (ნაწილობრივ, საზღვარგარეთაც), მაგრამ ახლა, ოლიმპიურ სეზონში, გამოჩნდნენ სპორტსმენები, რომლებიც თვალსაჩინოდ მიუახლოვდნენ მათ.

საბჭოთა მძლეოსნების რეკორდები განსაკუთრებულ კომენტარებს არ საჭიროებენ. დებმა თ. და ი. პრესებმა, ტ. შჩელკანოვამ, ე. ოზოლინამ არაერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი სამართლიანად ფლობენ მსოფლიო რეკორდებს და ეს მიღწევანი შეიძლება კვლავ მათ „დამორჩილდნენ“. ტ. შჩელკანოვამ უკვე თქვა თავისი სიტყვა მოსკოვში: ზნამენსკების მემორიალზე გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მისი შედეგი — 670 სმ — მართლაც ფენომენალურია!

ამრიგად, იაპონიაში საბჭოთა მძლეოსანთა რიგებში იქნება ექვსი მოქმედი მსოფლიო რეკორდსმენი. თუ მოვიგონებთ 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადას, როცა ჩვენს გუნდში ერთი მსოფლიო რეკორდსმენი (ვ. კაზანცევი, 3.000 მ წინაღობებით რბენა) იყო, დავრწმუნდებით, რომ განვლილ პერიოდს ამაოდ არ ჩაუვლია, და, ცხადია, ნაადრევია წერტილის დასმაც!

**ა. ხემიჩევი,**
**სპორტის ოსტატი, ახალი ამბების საააგენტოს მიმომხილველი.**

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# კიდევ ერთი უშედეგო მატჩი

**გორკი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 23 აგვისტო.**

**„ვოლგა“ (გორკი)— „დინამო“ (თბილისი) 0:0.**

„ვოლგა“: კარასევი, ლუნინი, სელივანოვსკი, შაფრანსკი, კალაშნიკოვი, ბრედნევი, კისელევი, გოლოვენკოვი, გოლოვი, ალექსიუტინი, მიხაილოვი.

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იაშანიძე, შეტრეველი, ბარქაია, აფშევი (კალოევი), მესხი.

**მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).**

მახპინძლებს ქულა სჭირდებოდათ, როგორც არასდეს. ზედიზედ განცდილმა ორმა წაგებამ „შახტიორთან“ და კიევის „დინამოსთან“ საგრძნობლად შეარყია „ვოლგის“ პოზიციები ცხრილის შუაგულში და საკმარისი იყო კიდევ ორი ქულის დაკარგვა, რომ გუნდი ისევ მეტიდროდ უასლოვდებოდა აუტსაიდერთა ჯგუფს. ამიტომ მატჩი ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორიცაა თბილისის „დინამო“, ვოლგელებმა ჩაატარეს მთელი თავიანთი შესაძლებლობით და, უნდა ითქვას, მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს— აიღეს მეტად საჭირო ქულა.

„ვოლგა“ პირველ ყოვლისა საკუთარი კარის უსიფათობაზე ზრუნავდა, მაგრამ თავდამსხმელები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყოველი მცირე შესაძლებლობა შეტევისათვის, კერძოდ ის, რომ დინამოელებს ამ დღეს დაცვაში აკლდათ ორივე ძირითადი სტოპერი — ხურცილავა და ზეინკლიშვილი. მე-12 წუთზე კოტრიკაძეს ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ბ. სიჭინავამ თითქმის უიმედო მდგომარეობაში შეძლო კარის ხსნა აშკარა გოლისაგან. ტაიმის დასასრულს თბილისელებმა რამდენიმე საჩიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან.

მეორე ტაიმში უპირატესობამ თბილისელთა მხარეს გადაინაცვლა. ჯერ მეტრეველმა, ხოლო შემდეგ ბარქაიამ უაღრესად სელსაყრელ ვითარებაში ვერ შეძლეს ზუსტი დარტყმებით დაემთავრებინათ შეტევა და ხელიდან გაუშვეს ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა. სტუმრებმა ვერ დაძლიეს „ვოლგის“ დაცვა და იძულებულ იყვნენ დასჯერებოდნენ ფრეს — 0:0.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეს თავისი 250-ე მატჩი ჩაატარა ზ. კალოევმა „ა“ კლასის გუნდებს შორის.

ამავე -გუნდების დუბლიორთა მატჩიც დამთავრდა ფრედ—1:1. თბილისელთა მხრივ ბურთი გაიტანა ვეკუამ.

**ვ. კირილოვი**
**(ტელეფონით).**

# „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

**გათამაშების ცხრილები**

**I ჯგუფი**

| | მდგომარეობა 25 აგვისტოსათვის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 20 | 11 | 7 | 2 | 37—11=+26 | 29 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 10 | 7 | 4 | 24—17=+ 7 | 27 |
| ᲪᲮᲙᲐ | 20 | 10 | 6 | 4 | 32—14=+18 | 26 |
| „დინამო“ (კიევი) | 20 | 8 | 9 | 3 | 30—18=+12 | 25 |
| ᲪᲮᲙᲐ (როსტოვი) | 20 | 10 | 4 | 6 | 29—17=+12 | 24 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 20 | 9 | 6 | 5 | 25—15=+10 | 24 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 20 | 8 | 8 | 4 | 23—15=+ 8 | 24 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 19 | 6 | 8 | 5 | 19—14=+ 5 | 20 |
| „დინამო“ (მინსკი) | 20 | 4 | 12 | 4 | 8—9 =— 1 | 20 |
| „ᲕᲝᲚᲒᲐ“ (გორკი) | 22 | 5 | 8 | 9 | 11—27=—16 | 18 |
| „ᲜᲔᲤᲢᲘᲜᲘᲐᲜᲘ“ (ბაკო) | 20 | 5 | 6 | 9 | 15—21=— 6 | 16 |
| „ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ (ლენინგრადი) | 20 | 5 | 6 | 9 | 17—25=— 8 | 16 |
| „ᲙᲐᲠ. ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕᲘ“ (ყუბიშევი) | 20 | 4 | 8 | 8 | 10—22=—12 | 16 |
| „ᲨᲘᲜᲘᲐᲜᲘ“ (იაროსლავლი) | 20 | 4 | 8 | 8 | 14—29=—15 | 16 |
| „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ქუთაისი) | 21 | 5 | 5 | 11 | 9—28=—19 | 15 |
| „ᲙᲐᲘᲠᲐᲗᲘ“ (ალმა-ათა) | 19 | 4 | 6 | 9 | 15—21=— 6 | 14 |
| „ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ“ (კიშინიოვი) | 20 | 4 | 4 | 12 | 10—25=—15 | 12 |

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 აგვისტო.** აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. გათამაშების ლიდერი — მოსკოვის „ტორპედო“ შეხვდა აუტსაიდერს — კიშინიოვის „მოლდოვას“.

მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 3:0.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 24 აგვისტო.** ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა მოეწყო მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ თანამლუბელთა შორის, თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

**II ჯგუფი, II ქვეჯგუფი**

| | მდგომარეობა 25 აგვისტოსათვის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| ᲡᲙᲐ (ოდესა) | 24 | 13 | 9 | 2 | 29—13=+16 | 35 |
| „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (მოსკოვი) | 25 | 10 | 10 | 5 | 26—21=+ 5 | 30 |
| „ᲨᲐᲰᲢᲘᲝᲠᲘ“ (ყარაგანდა) | 24 | 10 | 9 | 5 | 32—20=+12 | 29 |
| „ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ (ერევანი) | 25 | 7 | 12 | 6 | 20—14=+ 6 | 26 |
| „ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ“ (ლვოვი) | 24 | 10 | 6 | 8 | 31—26=+ 5 | 26 |
| „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (თბილისი) | 24 | 9 | 7 | 8 | 30—23=+ 7 | 25 |
| „ᲢᲠᲣᲓᲘ“ (ვორონეჟი) | 24 | 9 | 6 | 9 | 21—26=— 5 | 24 |
| „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (ზაპოროჟიე) | 23 | 5 | 12 | 6 | 15—13=+ 2 | 22 |
| „ᲣᲠᲐᲚᲛᲐᲨᲘ“ (სვერდლოვსკი) | 24 | 9 | 4 | 11 | 20—25=— 5 | 22 |
| „ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ“ (ვოლგოგრადი) | 24 | 7 | 8 | 9 | 18—26=— 8 | 22 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ტალინი) | 24 | 6 | 9 | 9 | 23—25=— 2 | 21 |
| „ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ (დნეპროპეტროვსკი) | 24 | 7 | 7 | 10 | 22—26=— 4 | 21 |
| „ᲐᲚᲒᲐ“ (ფრუნზე) | 24 | 5 | 8 | 11 | 24—40=—16 | 18 |
| „Ს�პᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (გომელი) | 24 | 3 | 11 | 10 | 8—20=—12 | 17 |

**განვლილ მატჩში თბილისის „ლოკომოტივსა“ და ლვოვის „კარპატს“ შორის თბილისელებს რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ აეღოთ მოწინააღმდეგის კარი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული.**

**სურათზე:** „კარპატის“ მეკარე ე. ვლასენკო იგერიებს მაღალ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

როგორც ცნობილია, 1 თვის წინ ხელახლა დაკომპლექტდა ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც გამოვა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე. მასში შევიდნენ სხვადასხვა კლუბების უძლიერესი მოთამაშეები. ახალმა ნაკრებმა ამას წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაამართა 3 ოლიმპიადისწინა საკონტროლო მატჩი ამ ქვეყნის ოლიმპიურ გუნდთან და სამივეჯერ გამარჯვება მოიპოვა. კიდევ ერთი გამოცდა ელოდა ჩვენს ოლიმპიელებს, ამჯერად უნგრეთის ძლიერ გუნდთან.

ამ ორი კოლექტივის პირველი მატჩი შედგა 22 აგვისტოს მოსკოვში. აქ გამარჯვებული არ გამოვლინდა — 1:1. გასულ კვირას მეტოქეები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს. საბჭოთა წყალბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს თამაში და დაამარცხეს უნგრეთის გუნდი ანგარიშით 3:1.

დღეს შედგება ამ ორი ქვეყნის წყალბურთელთა გუნდების დასკვნითი მატჩი.

### მედლების მოდელები მზადაა

**იაპონიის** დედაქალაქში უკვე დამთავრდა ოლიმპიური მედლების მოდელების დამზადება. მათ ექნებათ მრგვალი ფორმა, 6 სმ დიამეტრი, 3 სმ სისქე. ოქროს ყოველი მედალი შეიცავს 6 გრამ სუფთა ოქროს.

### სპორტსმენი ხიროსიმიდან აანთებს ჩირაღდანს

ტოკიოს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე შეარჩია იმ სპორტსმენის კანდიდატურა, რომელიც ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე ეროვნულ სტადიონზე შემოიტანს ჩირაღდანს. ეს პატივი წილად ხვდა ვასედოს უნივერსიტეტის სტუდენტს, 19 წლის იოშინორი საკაის. იგი იაპონიის უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონია 400 მეტრზე რბენაში და... მეტი არაფერი. იაპონია ხომ განთქმულია მსოფლიოში უძლიერესი სპორტსმენებით?! მაშ რატომ ამჯობინეს საკაის კანდიდატურა?

საქმე ის არის, რომ საკაი დაიბადა 1945 წლის 6 აგვისტოს ხიროსიმასთან ახლო მდებარე სოფელ მიიოშში. მისი დაბადება დაემთხვა ამ ქვეყნისათვის საბედისწერო დღეს, როცა აშშ-მ პირველი ატომური ყუმბარა ჩამოაგდო ხიროსიმაზე. ამის გამო საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა: დე, ჩვენი მეჩირაღდნის ბიოგრაფიამ ოლიმპიელებს, სტადიონზე შეკრებილთ მოაგონოს ომის საშინელება, რომ ერთხელ კიდევ განმეორდეს აზრი: „ადამიანები იმიტომ კი არ უნდა იკიბებოდნენ, რომ ერთმანეთის სისხლი ღვარონ, არამედ მშვიდობიანი საუბრისა და შეჯიბრებისათვის“.

### იაპონელები გამოვლენ სრული გუნდით

**ოლიმპიადის** საორგანიზაციო კომიტეტი ტოკიოში მოელის 100 ქვეყნის 7500 ოლიმპიელს, გუნდების 2500 ხელმძღვანელს, მწვრთნელს, 1000-მდე ჟურნალისტს, 150 ფოტოკორესპონდენტს, 150 მუშაკს [illegible] [illegible] მელიმე ქვეყანა, მან ტოკიოში უნდა გაგზავნოს 440 სპორტსმენი. ფიქრობენ, რომ ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ მასპინძლებს, რომლებიც ყველა სახეობაში ამარებენ გამოსვლას. ამ ქვეყნის გარდა, ყველაზე ხალხმრავალი იქნება სსრ კავშირისა და აშშ-ის დელეგაციები. ისინი არ გამოვლენ მხოლოდ ფეხბურთსა და ბალახის ჰოკეიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტურნირები...

საბჭოთა მოჭადრაკეები ყველა დიდი საერთაშორისო ტურნირის სასურველი მონაწილენი არიან. ეს მათ თავიანთი ბრწყინვალე თამაშით დაიმსახურეს.

### ჰავანაში

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კუბაში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია — გამოჩენილი კუბელი მოჭადრაკის, მსოფლიო ჩემპიონის ხ. კაპაბლანკას ხსოვნის აღსანიშნავი დიდი საერთაშორისო ტურნირის გამართვა. 24 აგვისტოს სტარტს აიღებს !!! ტრადიციული ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის იქნებიან ჩვენი დიდოსტატებიც — მსოფლიოს ექსჩემპიონი ვ. სმისლოვი და მ. ტაიმანოვი.

### ბელგრადში

იუგოსლავიის ხალხები ემზადებიან ზეიმით აღნიშნონ ბელგრადის განთავისუფლების 20 წლისთავი, რომელიც სექტემბერს სრულდება. ამ ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა ღირსშესანიშნავ თარიღს მიუძღვნას დიდოსტატთა ტურნირი. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ტურნირზე მიიწვია სამი საბჭოთა „მუშკეტერი“ — გელერი, კორჩნოი და ბრონშტეინი. ტურნირი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან მასში ითამაშებენ აგრეთვე ამერიკელი ფიშერი, უნგრელი საბო, ისლანდიელი ოლაფსონი, ჩეხი ფილიპი და მასპინძელ დიდოსტატთა „კოპორტა“ — გლიგორიჩი, ივკოვი, ტრიფუნოვიჩი, მატანოვიჩი და პარმა.

### ტელ-ავივში

ოქტომბერი მოჭადრაკეებისთვის „ოლიმპიური“ იქნება. ტელ-ავივში (ისრაელი) თავს მოიყრიან XVI საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილენი. საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, ისრაელის დედაქალაქში მოელიან 50-ზე მეტი ქვეყნის გუნდს. მოჭადრაკეთა ფორუმზე საბჭოთა კავშირი წარსდგება ასეთი შემადგენლობით (დაფების მიხედვით): პეტროსიანი, ბოტვინიკი, სმისლოვი, შტეინი და სათადარიგონი — კერესი და სპასკი. ჩვენს გუნდს სამართლიანად უწოდებენ „ოქროს“ გუნდს. საბჭოთა მოჭადრაკეები ოლიმპიადებში 1952 წლიდან მონაწილეობენ და ყოველთვის (ექვსჯერ) ჩემპიონობს ოქროს მედლებით იმშვენებენ მკერდს.

### ჰასტინგსში

ახალი წლის წინ საბჭოთა დიდოსტატებს მოელიან ჰასტინგსში. ამ ტრადიციულ საახალწლო საერთაშორისო ტურნირში ტრადიციად იქცა ჩვენი მოჭადრაკეების გამოსვლა. შარშან ინგლისელები მასპინძლობდნენ მსოფლიო ჩემპიონს ნ. იაფრინდაშვილს და მ. ტალს. წელს მათ კვლავ ესტუმრება ჭადრაკის „დედოფალი“ უმაღლესი რანგის ტურნირში სათამაშოდ და რომელიმე დიდოსტატი, რომლის ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი.

სსრ კავშირშიც გაიმართება რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი, რომლებშიც მოწვეული არიან საზღვარგარეთელი დიდოსტატები და ოსტატები.

### სოჭში

25 აგვისტოს სოჭში დაიწყება დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. სტუმრებს — გამოჩენილ უნგრელ დიდოსტატ ბარცას, მსოფლიო ჩემპიონს ჭაბუკებს შორის, რუმინელ საერთაშორისო ოსტატ გეორგიუს და სხვებს გვერდს დაუმშვენებენ საბჭოთა დიდოსტატები სპასკი, ბონდარევსკი, პოლუგაევსკი და ანტოშინი.

### სოხუმში

საჭადრაკო სამყაროს ყურადღებას მიიქცევს პრეტენდენტთა ტურნირი სოხუმში, რომელიც 8 სექტემბერს აიღებს სტარტს. ტურნირს ერთადერთი მიზანი აქვს: გამოავლინოს ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე 1965 წლის მატჩისათვის. დედოფლის ტახტის „ხელყოფის“ სურვილი 18 მოჭადრაკე ქალს აქვს. ესენი არიან: იუგოსლაველები ლაზარევიჩი, ნედელკოვიჩი, ივანოვიჩი, ამერიკელები ლეინი, გრესერი, რუმინელი ტეოდორესკუ, უნგრელი კარაჯაში, ბულგარელი ივანოვა, პოლონელი კონარკოვსკა, ჩეხი ერეტოვა და სხვები. ჩვენი ქვეყნიდან ბრძოლაში ჩაებმებიან ბიკოვა, რანიკუ, ზატულოვსკაია, ზვორიკინა, ბორისენკო და კუშნირი.

### ბაქოში

პირველი საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა ბაქოში. აზერბაიჯანელ მეგობრებს განზრახული აქვთ იგი ნოემბერში ჩაატარონ და ბევრი სახელგანთქმული მოჭადრაკე მიიწვიონ. მათ მასპინძლობას გაუწევენ აზერბაიჯანის საჭადრაკო ლიდერები, საერთაშორისო ოსტატები ბაგიროვი და ტატიანა ზატულოვსკაია.

## მ. ი. იუზბაშევი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა წყალბურთის ხტომის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი მერაბ იხვანის ძე იუზბაშევი.

საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ სპორტის ოსტატ მ. იუზბაშევის სახით დაკარგა შესანიშნავი მუშაკი და სპორტსმენი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მთელ თავის ცოდნას და გამოცდილებას ამარდა რესპუბლიკაში წყალბურთის ხტომის სახეობის განვითარებას.

საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელის პოსტზე მუშაობისას მ. იუზბაშევმა აღზარდა ნიჭიერ სპორტსმენთა მთელი პლეადა, რისთვისაც არა ერთხელ დაჯილდოებული იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების დიპლომებით.

კეთილი მეგობრისა და მწვრთნელის მ. იუზბაშევის ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და აღზრდილთა ხსოვნაში.

**საქართველოს სსრ წყალბურთის ხტომის ფედერაცია.**

## კალენდარი დამტკიცდა

*როგორც ცნობილია, ტოკიოს საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 16 ქვეყნის გუნდმა. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა შეხვედრათა კალენდარი. 11 ოქტომბერს ითამაშებენ: გდრ-ირანი. შეკსიკა-რუმინეთი, იუგოსლავია-კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი-მაროკო, ჩეხოსლოვაკია-სამხრეთ კორეა.*

*12 ოქტომბერს — ბრაზილია-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, იტალია-იაპონია, არგენტინა-განა, გდრ-რუმინეთი, ირანი-მექსიკა; 13 ოქტომბერს — იუგოსლავია-მაროკო, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა-უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა-ბრაზილია, იტალია-განა; 14 ოქტომბერს — იაპონია-არგენტინა, გდრ-მექსიკა, ირანი-რუმინეთი, იუგოსლავია-უნგრეთი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა-მაროკო; 15 ოქტომბერს — ჩეხოსლოვაკია-ბრაზილია, სამხრეთ კორეა-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, იტალია-არგენტინა, იაპონია-განა.*

## გარინჩა ფეხბურთს ეთხოვება?

საერთაშორისო სპორტულ პრესაში ხშირად წერენ, რომ უხეშობამ ფეხბურთის მინდვრებზე ბოლო ხანებში კატასტროფული ხასიათი მიიღო. მაღალი კლასის მოთამაშეთა წინააღმდეგ დაუფარავი ნადირობა, მათი მწყობრიდან გამოყვანა რიგ გუნდებსა და მწვრთნელებს თავიანთი „ტაქტიკის“ შემადგენელ ნაწილად მიაჩნიათ. ასე მაგალითად, გამოჩენილი „შავი ბრილიანტი“ პელე სეზონის ნახევარს, როგორც წესი, ჰოსპიტლებში ატარებს.

სულ ახლახან ახალი ცნობა მოვიდა განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის გარინჩას ტრავმის შესახებ. იგი ბოლო ხანებში იშვიათად გამოდიოდა თავის კლუბ „ბოტაფოგოში“ მუხლის დაზიანების გამო, მაგრამ ამას წინათ მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ მატჩში, სადაც მას ახალი, მძიმე ტრავმა მიაყენეს.

ექიმების აზრით, ამბულატორიული მკურნალობა და პროცედურები საქმეს არ უშველის. საჭიროა რთული ოპერაცია, რის შემდეგ გარინჩა რამდენიმე თვე გაუნძრევლად უნდა იწვეს. არც ერთი ბრაზილიელი ქირურგი არ იძლევა გარანტიას, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, შვეიცისა და ჩილის ჩემპიონატების გმირი გარინჩა დაუბრუნდება მინდორს.

* * *

**სურათზე: ბრაზილიის ნაკრების მარჯვენა გარემარბი გარინჩა გადის გარღვევაზე.**

**რედაქტორის მაგიერ**
**ზ. ჯაფარიძე.**

„დინამოს“ სტადიონი
26 აგვისტო

(„ა“ კლასის II ჯგუფის II ქვეჯგუფი)
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — სკა (ოდესა)
დასაწყისი 19 ს.

## ანეკდოტი

### სიხარულს ესეც მოსდევს

ბოლივიაში ფეხბურთს ისეთივე თაყვანისმცემლები ჰყავს, როგორც სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში — თავდავიწყებით აზარტული და ექსპანსიური. აი, მაგალითიც:

დამთავრდა მატჩი ბოლივიის ქალაქების ორუროსა და სანტა-კრუს ნაკრებ გუნდებს შორის. იგი ანგარიშით 3:2 მოიგეს ორუროს ფეხბურთელებმა და ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა ქალაქის მოსახლეობამ ნამდვილი ზეიმი გადაიხადა: ხალხი მთელი ღამე დადიოდა ქუჩებში, მღეროდა, რა თქმა უნდა, კოლტებსაც ცლიდა... ერთი სიტყვით, თავდავიწყებით დღესასწაულობდა.

სამაგიეროდ, როცა დაღლილი გულშემატკივრები დილით შინ დაბრუნდნენ, სახლები საფუძვლიანად გაძარცული დახვდათ.

თუ ვინ იყვნენ მძარცველები, ძნელი მისახვედრი არ გახლდათ. კარებზე ეკიდა არაორაზროვანი წარწერები: მოგესალმებით სანტა-კრუსიდან — 3:2“.

## დააბრუნებენ მედლებს?

*დაბრუნებენ თუ არა ოლიმპიურ მედლებს მარიკა კილიუსი და ჰანს იურგენ ბოიმლერი? ეს აინტერესებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც თვლის, რომ ინსბრუკის ოლიმპიადისწინა პერიოდში ზემოჩამოთვლილი მოციგურეები არღვევდნენ მოყვარულ სპორტსმენთა სტატუტს. ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ ინსბრუკის ოლიმპიადის დაწყებამდე ამ წყვილს გადაწყვეტილი ჰქონდა პროფესიონალებში გადასვლა და თითქოს მათ ერთ-ერთი დასისავან ავანსიც კი მიიღეს. თუ დამტკიცდა ეს ფაქტი, ორივე სპორტსმენი იძულებული იქნება დაბრუნოს ოლიმპიური ჯილდოები.*

**გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.**

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11314